COLLEGE

მარნეულის კოლეჯი

COLLEGE OF MARNEULI

დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში

მაისი 2022

კვლევის ანგარიში მომზადებულია შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის ხელმძღვანელის, -შორენა ალაგარდაშვილის მიერ.

http://www.mc.edu.ge

სტრუქტურა

1. კვლევის მიზანი; კვლევის ამოცანები; სამიზნე ჯგუფი; კვლევის მეთოდი
2. თემის აქტუალობა
3. კვლევის შერჩევა
4. კვლევის შეზღუდვა
5. კვლევის მიგნებები
6. კვლევის მონაცემები
7. დასკვნა

კვლევის მიზანი

- დამსაქმებელთა კმაყოფილების დადგენა პროფესიული განათლებით და პროფესიული სასწავლებლით;
- შრომის ბაზრის კონკრეტულ სეგმენტში მოთხოვნადი პროფესიების გამოვლენა;

კვლევის ამოცანები

- დამსაქმებელთა კმაყოფილების დადგენა შპს მარნეულის კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებით და კურსდამთავრებულებით;
- დამსაქმებლების სამომავლო გეგმები პროფესიულ სასწავლებელთან- კერძოდ მარნეულის კოლეჯთან;
- დამსაქმებლებისთვის მნიშვნელოვანი პროფესიების იდენტიფიცირება;
- დამსაქმებელთა მხრიდან სასურველი თანამშრომლობის ფორმის დადგენა;

კვლევის მეთოდი, ინსტრუმენტი

- მეთოდი: თვისებრივი - ჩაღრმავებული ინტერვიუ.
- ინსტრუმენტი: კითხვარი

სამიზნე ჯგუფი:.

- კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები და ორგანიზაციები, რომელთა სამუშაო პროფილი კოლეჯის ინტერესის სფეროს წარმოადგენს

თემის აქტუალობა

- შპს მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახური ითვალისწინებს რა საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების საჭიროებას და მნიშვნელოვნებას, დაგეგმილი აქვს მიზნობრივი კვლევები და სხვადასხვა მონაცემთა შესწავლის მექანიზმები, რომლის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი კვლევის მიგნებები კოლეჯს აძლევს საშუალებას, ერთის მხრივ გააუმჯობესოს არსებული საგანმანათლებლო პროგრამები, ხოლო მეორეს მხრივ მოახდინოს ახალი პროგრამების დამატება.

- ერთ-ერთი მიზნობრივი კვლევა არის დამსაქმებლის კვლევა, რომელიც კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მყარი საფუძველია პროგრამების დამატების შემთხვევაში.

კვლევის შერჩევა

- კვლევისთვის საჭირო ცდის პირების შერჩევა განხორციელდა შპს მარნეულის კოლეჯში არსებული დამსაქმებლის და პარტნიორი ორგანიზაციების ბაზიდან და ასევე, გამოყენებულ იქნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მონაცემები (შერჩევა მოხდა ქვემო ქართლის რეგიონის ჭრილში). ორგანიზაციების შერჩევა მოხდა მათი საქმიანობის და საკუთრების ფორმის მიხედვით.

- ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტები, დაუკავშირდნენ 50-ზე მეტ ორგანიზაციას მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის არეალში.

- კვლევაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 22 ორგანიზაციამ.

კვლევის შეზღუდვა

- კვლევის შეზღუდვის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ვალიდურობაზე გავლენა მოახდინა ორგანიზაციების მხრიდან კვლევაში მონაწილეობის დაბალმა მაჩვენებელმა, სულ 22 ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა.
- ორგანიზაციების მხრიდან დამსაქმებლის კვლევისადმი არასათანადო და ზერელე დამოკიდებულება - მიუხედავად ორგანიზაციებისთვის პროფესიული განათლების მქონდე კადრის საჭიროებისა, პროფესიული განათლებით დაინტერესების დაბალი მაჩვენებელი.

კვლევის მთავარი მიგნებები

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე მონაცემების შესწავლა უფრო მრავალმხრივ გაიშალა და ზოგიერთი მიმართულებით გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მიგნებები:

- **ორგანიზაციების მიერ პსდ და პროფესიული კოლეჯით კმაყოფილება** - კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები ვინც თანამშრომლობს პსდ-თან კმაყოფილები არიან ურთიერთანამშრომლობის ფორმებით და კვლავ აპირებენ აქტიური თანამშრომლობის გაგრძელებას. თუმცაღა ისურვებდნენ პსდ მხრიდან უფრო აქტიურ ჩართულობას და კონკრეტულ შეთავაზებებს.

კვლევის მთავარი მიგნებები

- **ორგანიზაციებისთვის პსდ-თან სასურველი თანამშრომლობითი ფორმები -**

ორგანიზაციათა მიერ, ვისაც უკვე აქვს პსდ-თან ურთიერთობის გამოცდილება სურთ იმავე ფორმატით თანამშრომლობის გაგრძელება.

ორგანიზაციათა ნაწილს ბევრად უფრო აქტიური, მჭიდრო და მრავალფეროვანი თანამშრომლობის გაგრძელება სურთ კოლეჯთან და ინიციატივებს ელიან პსდ-გან.

ზოგიერთმა ორგანიზაციამ თავად დაასახელა ურთიერთობის მიმართულება, რაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწის ან ახლის დამატებით იქნება გამოწვეული.

საინფორმაციო შეხვედრები კოლეჯის წარმომადგნელებსა და ორგანიზაციებს შორის, აზრთა გაცვლა და საერთო ინტერესებზე დიალოგი.

კვლევის მთავარი მიგნებები

- **მოთხოვნადი პროფესიები -**

კვლევაში მონაწილე ორგანიზაციათა მიერ, მოთხოვნად პროფესიებად დასახელდა: ექთნები, ექთნის ასისტენტები, ფარმაცევტები, პარაფარმაციის კომსულტანტები, ქიმიური ლაბორანტები, აფთიაქის მენეჯერბი, აღმზრდელები, აღმზრდელის თანაშემწეები, ძიძები, საბავშო-ბაღის ტექნიკური პერსონალი, საოფისე პროგრამების სპეციალისტები, რეგისტრატორები, არქივის წარმოების მიმართულებები, საქმისმწარმოებლები, საინფორმაციო მენეჯერები.

გარდა აღნიშნულისა, პსდ-ის მიმართ რჩევის სახით გამოიკვეთა სხვა მიმართულების პროფესიული კადრის საჭიროებაც: შინა მეურნეობა, ინჟინერია, კულინარია და ა.შ.

კვლევის მთავარი მიგნებები

- **საზოგადოების დასაქმებასთან დაკავშირებული გამოწვევები -**

ორგანიზაციათა მიერ, ქვემო ქართლის მოსახლეობის დასაქმების დროს, გამოიკვეთა კონკრეტული სირთულეები:

  - რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაში სახელმწიფო ენის ბარიერის არსებობა.
  - კომპიუტერული უნარ-ჩვევების ნაკლებობა.
  - რეგიონში საზოგადოების მხრიდან დასაქმების მსურველთა დაბალი მაჩვენებელი;
  - პროფესიული ტექნიკური უნარების ნაკლებობა;
  - რეგიონში მკვეთრად გამოვლენილი სოციალური ფაქტორი. (ეთნიკურად არაქართველი ოჯახის წარმომადგენლები, სადაც ოჯახი არ აძლევს ქალს მუშაობის საშუალებას).

- **ორგანიზაციების მიერ პროფესიული განათლების შესახებ არასრული ინფორმაციის ფლობა -**

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის წარმომადგენელს არც თუ ნათელი წარმოდგენა აქვს რა არის პროფესიული განათლება დღეს, რატომ შეიძლება რომ მათთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეძლოს პსდ-მ.

კვლევის მონაცემები

- კვლევის ფარგლებში უნდა დადგენილიყო დამსაქმებელთა კმაყოფილება შპს მარნეულის კოლეჯის მიერ განხორციელებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამებით/ კურსდამთავრებულებით და თანამშრომლობის ფორმით:
  - პსდ-თან ურთიერთობა რესპოდენტებისთვის მნიშვნელოვანია, რადგან იმ კადრის საჭიროება რასაც პსდ უზრუნველყოფს, ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების დაწესებულებები;
  - კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები ვინც თანამშრომლობს პსდ-თან კმაყოფილები არიან ურთიერთანამშრომლობის ფორმებით და კვლავ აპირებენ აქტიური თანამშრომლობის გაგრძელებას;
  - კვლევაში მონაწილე ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ ისურვებდნენ პსდ მხრიდან უფრო აქტიურ ჩართულობას და კონკრეტულ შეთავაზებებს.
  - შპს მარნეულის კოლეჯთან ურთიერთობის ყველაზე მიღებული და აპრობირებულ გზად დასახელდა: სტუდენტების პრაქტიკები, სტაჟირება, ახალი კადრის საჭიროების შემთხვევაში კოლეჯთან თანამშრომლობა, მემორანდუმით და ხელშეკრულებით რეგულირებული ურთიერთობები.

კვლევის მონაცემები

- **რესპოდენტებს უნდა დაესახელებინათ ორგანიზაციებში არსებული პროფესიული გამოწვევები:**
- ორგანიზაციების მიერ გამოიკვეთა, რომ არსებობს ენობრივი ბარიერის პრობლემა, რის გამოც ხშირად ვერ ხდება პროფესიული განათლების მქონე პირის სამუშაოდ აყვანა და რესპოდენტები ამ პრობლემას მთელი რეგიონისთვის ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად ასახელებენ, რაც კიდევ უფრო ართულებს რეგიონებში ახალი კადრების დასაქმების საკითხს;
- რესპოდენტების მიერ ძირითადად დასახელდა კომპიუტერულ და პროფესიულ ტექნიკურ უნარებთან დაკავშირებული სირთულეები;
- პრობლემურ საკითხად დასახელდა რთული ქცევის ბავშვთან მუშაობა (სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულებები), რადგან საბავშო ბაღში დასაქმებულ პირებს ამის შესახებ აქვთ ზოგადი განათლება და ეს ვერ უზრუნველყოფს ასეთ ბავშვებთან აღმზრდელობით სამუშაოს;
- კადრის არ საჭიროების მიზეზად დასახელდა არასათანდო ფინანსური მზაობა, ან კვალიფიციური კანდიდატების არ არსებობა, ან ის სოციალური ფაქტორი რაც რეგიონში მკვეთრად არის გამოვლენილი.

კვლევის მონაცემები

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი პროფესიები და მათი სამომავლო პერსპექტივები:

- სამედიცინო დაწესებულებებისთვის პრიორიტეტულ და მოთხოვნად კადრს ძირითადად წარმოადგენს ექთნები და ექთნის ასისტენტები;
- ორგანიზაციათა ნაწილი, ამ ეტაპზე არ საჭიროებენ კადრის მატებას, მაგრამ წამოჭრეს ახალი მიმართულების კადრის მოთხოვნა - ქიმიური ლაბორანტის პოზიციაზე.

გამოკითხულ ორგანიზაციათა აბსოლიტურმა უმრავლესობამ, ვისაც ამ ეტაპზე არ აქვს თანამშომლობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, გამოთქვეს თანამშრომლობის სურვილი, თუმცა არ დაუსახელებიათ სასურველი თანამშრომლობის ფორმა;

კვლევის მონაცემები

ფარმაცევტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ, ხაზი გაესვა კომპანიების მხრიდან მუდმივ განვითარებასა და გაფართოებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მათთვის ახალი კადრის საჭიროებას, არა მხოლოდ პარაფარმაციის და ფარმაციის მიმართულებით, არამედ ასევე სხვა მიმართულებებითაც.

დასახელდა პროფესიები, რომლებიც მათთვის მუდმივად მოთხოვნადია, ესენია ფარმაცევტები, პარაფარმაციის კონსულტანტი და აფთიაქის მენეჯერები. .

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე სხვადასხვა მიმართულების ორგანიზაციათა მხრიდან მნიშვნელოვან პროფესიებად გამოიკვეთა აღმზრდელი, ბაღებში არსებული ტექნიკური პერსონალი.

- ზოგადი განათლების დაწესებულებების მხრიდან საჭირო კადრად დასახელდა საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი;
- ზოგადი განათლების დაწესებულებებისთვის მოთხოვნად პროფესიებს და მათთვის საჭირო კადრებს წარმოადგენენ უმაღლესი განათლების მქონე პირები.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს დაწესებულებები ვერ იქნება განხილული აქტიურ დამსაქმებლებად, სადაც მოხდება პროფესიული განათლების მქონე პირთა დასაქმება, თუმცა, ზოგადი განათლების დაწესებულებების წარმომადგენელთა მიერ გამოითქვა სურვილი, რომ კოლეჯის მხრიდან განხორციელდეს სკოლებში ვიზიტი და მოსწავლეებში პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება.

კვლევის მონაცემები

დამსაქმებლის კვლევის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა დადგენილოყო, საჭროებს თუ არა ორგანიზაციაში დასაქმებული კადრი გარკვეული მიმართულებით მომზადება/გადამზადებას:

- ორგანიზაციათა ნაწილის მიერ დასახელდა, რომ შიდა ორგანიზაციულ დონეზე ხშირად ხდება კადრების დატრენინგება და საჭიროებისამებრ გადამზადება.
- თუმცა პერსონალის მომზადება/გადამზადების საჭიროება გამოიკვეთა კომპიუტერული პროგრამების, სალარო ოპერაციების განხორციელების, საოფისე პროგრამების, რეგისტრატორების, არქივის წარმოების მიმართულებებით. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციების მიერ გამოითქვა მზაობა, რომ მიმართონ თუნდაც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში გამოიკვეთა აღმზრდელთა პროფესიული გადამზადების საჭიროება.

დამსაქმებელი ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი გეგმავს გაფართოვებას, თუმცა უმეტეს შემთხვევაში ვერ დასახელდა კონკრეტული მიმართულება.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე რესპოდენტები ასევე შეეხნენ კორონა ვირუსით გამოწვეულ დანაკლისებს, თუ რა დაბრკოლებები შეუქმნა პანდემიურმა მდგომარეობამ და რა პრობლემები წარმოშვა ორგანიზაციის საქმიანობაში:

- მოხდა თანამშრომლობითი პროცესების შეჩერება ორგანიზაციებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, რის გამოც ვერ განხორციელდა დაგეგმილი ინიციატივები. ორგანიზაციათა გარკვეულ ნაწილთან კი საერთოდ შეწყდა თანამშრომლობა;
- კოვიდ 19-ის გამო დაწესებულმა შეზღუდვებმა შეაფერხა მოსწავლეების ვიზიტი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც მათ მიერ ხდებოდა სასწავლო გარემოს დათვალიერება და პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციის მიღება;
- შეფერხდა პროფესიულ მომზადება/გადამზადების პროგრამებზე ორგანიზაციებში დასაქმებული პირების ჩართვა;
- ხელი შეუშალა დამსაქმებელ ორგანიზაციებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს დაგეგმილი პროექტების განხორციელებაში.

კვლევის მონაცემები

კვლევაში მონაწილე იმ ორგანიზაციებმა, კი რომლებიც სამედიცინო სფეროში საქმიანობენ, განსხვავებული მოსაზრებები დააფიქსირეს კორონა ვირუსის გავრცელებით გამოწვეულ სიახლეებთან დაკავშირებით, რადგან სწორედ ამ პანდემიურმა მდგომარეობამ განაპირობა სამედიცინო დაწესებულებებში საექთნო მიმართულებით კადრების გაზრდა. რამაც უფრო გააღრმავა და მჭიდრო გახადა ორგანიზაციებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა.

დამსაქმებლის რეკომენდაცია კოლეჯს

კვლევის პროცესში ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა შპს მარნეულის კოლეჯისთვის მიეცათ რეკომენდაციები:

- სტუდენტებისთვის სფეროს თანამედროვე მიდგომების და სიახლეების სწავლება;
- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაწყება, რომელიც მუნიციპალიტეტის მოთხოვნების შესაბამისი იქნება;
- ისეთი პროგრამების განხოროციელება, რომელიც არაქართულენოვან მოსახლეობასაც გაუწევდა დახმარებას, მაგალითად სკოლამდელი განათლების საფეხურზე ქართული ენის სწავლება;
- სკოლის მოსწავლეებთან დაიგეგმოს შეხვედრები, სადაც კოლეჯის მიერ მოხდება პროგრამების გაცნობა, რომელსაც ახორციელებს და ასევე, პროფესიული განათლების მნიშვნელოვნების საკითხებთან დაკავშირებითაც მიაწვდის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ინფორმაციას.
- უფრო გაფართოვდეს და გაღრმავდეს სტაჟირების და სტუდენტური პრაქტიკის საკითხების მიმართულებებით მუშაობა.
- რესპოდენტების მიერ რჩევის სახით დასახელდა ისეთი პროფესიებისთვის პროგრამების გახსნა როგორიც არის, შინა მეურნეობა, ინჟინერია, კულინარია და ა.შ